საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 63

24 05 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 მოხსენებითის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მეხუთე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აპრილის N03/2502 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 1000 ლარის გამოყოფა გინესის რეკორდსმენის ეითიბარ ელჩიევის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის

2 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ზაურ ტაბატაძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი